



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გამიატნინი სერგეი ნიკოლოზის ძე

გამიატნინი სერგეი ნიკოლოზის ძე [9 (21). IV. 1899, პავლოვსკი, ახლანდ. ვორონეჟის ოლქი, - 5. XI. 1958, ლენინგრადი, ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი], რუსი არქეოლოგი, პრეისტორიული არქეოლ. მკვლევარი. ზ-მა აღმოაჩინა და გამოიკვლია პალეოლითის ხანის ძეგლები: ბერდიჟის, გაგარინოს, კოსტიონკის, სატანიდარის და სხვ. ჩამოაყალიბა კავკ. პალეოლითის პერიოდიზაცია; შეისწავლა პალეოლითის კულტ. ლოკალური განსხვავებანი, პალეოლითისა და ნეოლითის ხელოვნება და სხვ. საქართველოში პირველად აღმოაჩინა ზედა პალეოლითის ნახატები კლდეზე, ადლერის მახლობლად გამოქვაბულის მასალის მიხედვით დაადგინა პალეოლითური ძეგლების სტრატეგრაფიული ფენები. დაჯილდოებულია სახელმწ. ორდენითა და მედლებით.

თბზ.: Очерки по Палеолиту, М. -Л., 1961.
